რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელი სტუმრები მოსკოვის სრეტენის მონასტერს ეწვივნენ

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 29.08.2022. 28 აგვისტოს რუმინეთის საპატრიარქოს კლირიკოსი და მართლმადიდებელი კინორეჟისორი კვიპრიანე მეგა, **რომელიც მოსკოვში ჩამოსულია მოსკოვის 44-ე საერთაშორისო კინოფესტივალში მონაწილეობის მისაღებად, მოსკოვის სრეტენის სტავროპიგიალურ მამათა მონასტერს ეწვია.**

სრუმარმა, რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიიდან, თანამსახურება გაუწია სრეტენის მონასტრის იღუმენს იოანეს (ლუდიშჩევი) და სავანის ძმებს საღმრთო ლიტურგიაზე ქრისტეს აღდგომისა და რუსეთის ეკლესიის ახალმოწამეთა და აღმსარებელთა ტაძარში. ღვთისმსახურებაზე ლოცულობდნენ რუმინელი კინორეჟისორის თანმხლები პირები კონოკომპანია «Eirina Film»-ის პროდიუსერი ლ. მეგა და ს. ჩობანუ,

ასევე საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თანამშრომელი მართლმადიდებელთა შორის ურთიერთობების საკითხებში ა.იუ. ხოშევი.

საღმრთო ლიტურგიის დასრულების შემდეგ დეკანოზმა კვიპრიანე მეგმა და მისმა თანამგზავრებმა მონაწილეობა მიიღეს სადღესასწაულო ტრაპეზში. ტრაპეზის შემდეგ ისინი მიიღო სრეტენის მონასტრის წინამძღვრის ადგილმონაცვლემ იღუმენმა იოანემ (ლუდიშჩევი).

შემდგარი საუბრის მსვლელობაში აღინიშნა, რომ კომუნისტური რეჟიმის პერიოდში მართლმადიდებლური სარწმუნოებისთვის დათმენილი ტანჯვა აერთიანებს ერებს, რომლებსაც სულიერად კვებავდნენ რუსეთისა და რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიები. დეკანოზმა კვიპრიანე მეგამ სრეტენის მონასტრის ადგილმონაცვლეს მოუთხრო თავისი კონომატოგრაფიული მოღვაწეობისა და რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სულიერ ტრადიციებთან მისი შემოქმედების კავშირების შესახებ..

შეხვედრის მონაწილეებმა ერთმანეთში სამახსოვრო საჩუქრები გაცვალეს.

28 აგვისტოს საღამოს კინოცენტრ „ოქტომბერში“ მოსკოვის 44-ე საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში შედგა დეკანოზ კვიპრიანე მეგას ფილმების ჩვენება. მაყურებელმა იხილა ფილმები „უსასრულო დილა“ (2016) და „ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“ (2022). მოსკოვის 44-ე საერთაშორისო კინფესტივალზე წარმოდგენილი ფილმი „ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“, ავტორმა რუმინეთში კომუნისტური რეჟიმის პერიოდში რელიგიის თავისუფლებისთვის მებრძოლი მღვდლის, გიორგი კალჩუ-დუმიტრიასის (1925-2006) აღმსარებლობითი ცხოვრების გზას მიუძღვნა.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89570/